







საქართველოს უკულტურო  
ქაბლთა დაცვისა და  
სკორტის სამინისტრო

# გურამი დოლიძე

ფერწერა • გრაფიკა • კერამიკა • პოეზია

## Guram Dolidze

PAINTING • GRAPHICS • CERAMICS • POETRY

თბილისი • Tbilisi  
2010



**ჩ**ემი ცხოვრების გზა იმთავითვე ვერ დაუკავშირდა ხელოვნებას. მამამ, რომელსაც საოცრად უყვარდა ლიტერატურა და ხელოვნება (თან ცოლის ძმა, შოთა კუპრავილი, მხატვარი ჰყავდა), მაინც მირჩია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლის განგრძობა, ასე უფრო მყარ ნიადაგზე დადგამ ფეხს და ხელოვნებაზე მერე იფიქრო. მაგრამ ამ ინსტიტუტში ერთი წელიც ვერ გავძელი, საბუთები მალულად გამოვიტანე და სამხატვრო აკადემიისკენ გავიშურე. მამაჩემმა ეს ამბავი მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა მესამე კურსზე გადავდიოდი მას შემდეგ არ მოვშორებივარ ხელოვნების ამ დიდ კერას. ჩემი პედაგოგები იყვნენ სერგო ქობულაძე, შოთა მიქატაძე, ვასილ შუხაევი, გიორგი ჯაში, დავით ციციშვილი. ისინი მასწავლიდნენ ხატვას, ქანდაკებას, კომპოზიციას. ბატონმა სერგომ შექება არ იცოდა, მაგრამ ოდნავ რომ მოჭუტავდა თვალს და ისე გახედავდა სტუდენტების ნამუშევარს ცას ვენეოდით ხოლმე სიხარულით, რადგან ვიცოდით, ეს იყო დიდი ხელოვანის მიერ ჩვენი ექსპერიმენტების მონონების ძუნწი, მაგრამ ნაღდი ნიშანი.

შესანიშნავი გუნდი გამოუშვა ჩემ დროს სამხატვრო აკადემიამ — მერაბ ბერძენიშვილი, ლეონარდო შენგელია, ბორის ციბაძე, ლევან მხეიძე, გოგი თოთიბაძე, მიტო ხახუტაშვილი, გივი ყანდარელი, რომელი ერთი ვთქვა.

ამჟამად ხატვას ვასწავლი ამ მართლაც და სასიქადულო დაწესებულებაში და ცდას არ ვაკლებ, რომ ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს მივცე სწორი გეზი და ამასთან ერთად ისინი ჩამოვაცალიბო ღირსეულ მოქალაქეებად. ვფიქრობ, რომ ჩემი შრომა ნყალში არ გადაყრილა, რადგან აღვზარდე ხელოვნების, ბუნების, ადამიანისა და სამშობლოს მოყვარული ადამიანები.

**გურამ დოლიძე**

ხატვის კათედრის პროფესორი

**T**he way of my life has not been connected with the arts. My father, who immensely loved literature and arts (and in spite of the fact that his wife's brother, Shota Kupreishvi was a painter) he still advised me to study at the Agricultural Institute. He told me: "Thus you will be able to step on stiffer soil and only after you can think of arts". But It was unbearable for me to stay even for a year at the Institute. I withdrew my documents secretly and went to the Academy of Arts. My father heard about this only when I was moving to the third course: Since then I've never left this great hearth of Arts. My pedagogues were Sergo Kobuladze, Shota Mikatadze, Vasil Shukhaev, Giorgi Jashi, Davit Tsisishvili. They taught me to draw, sculpture, composition. Sergo Kobuladze was not lavish with praises, but when he used to slightly screw up his eyes and thus started to look at the students' work, we were immensely glad, knowing that this was a chary, but true sign of approval of our experiments.

An excellent team had been issued during my times by the Academy of Arts, - Merab Berdzenishvili, Leonardo Shengelaia, Boris Tsabadze, Levan Mkheidze, Gogi Totbadze, Mito Khakhutashvili, Givi Kandareli; Which one can be aimed.

At present I am teaching to paint at this, really glorious establishment and am trying my best to direct the gifted young people towards the right way and simultaneously, to form them as deserved citizens. I think that the labor rendered by me were not in vain, so as I trained the pupils to be lovers of arts, nature, a man and the mother-land.

**GURAM DOLIDZE**

Professor of the department of painting,

**ს**რ მახსოვს, არც გამიგია, რომ ვინმეს არ უყვარდა ბატონი გურამი ან ვინმე გადამტერებუ-  
ლი ყავდა, ვინმე რალაციით, თუნდაც უმნიშვნელოდ გაენანყენებინოს და მიუხედავად იმი-  
სა, რომ ბატონი გურამი იყო ძალიან კარგი პროფესიონალი, მხატვარი, გახსნილი, ღია, ემოცი-  
ური, გულისხმიერი, მომთხროვნი და პრინციპული პედაგოგი და მაინც მოშურნეები არ ჰყავდა,  
პირიქით ასე მგონია ყველას უყვარდა, რადგანაც თვითონაც უყვარდა ყველა.

იგი იყო ლამაზი პიროვნება და ლამაზი ადამიანი, ერთად აღებული და ერთად შეზავებული  
– ყოველივე ეს და კიდევ ბევრი, რამ სძენდა გურამს, როგორც კოლეგას, მხატვრს, პედაგოგ-  
პროფესიონალს და გონებამახვილ ადამიანს განუმეორებელ ხიბლს.

მას ჰქონდა უნიკალური თვალი, მახვილგონიერი ირონიით და გარკვეულ შემთხვევაში სარ-  
კაზმით შეზავებული ინტელექტი. მხატვრობაში ამ უნარს გურამი მართლაც შესანიშნავად  
იყენებდა, ქმნიდა პაროდია-იუმორისტული ბრწყინვალე ოპუსებს, რომელსაც თავის მხრივ,  
მრავალფეროვანი და მრავალპლასტიანი შინაარსისა და ადამიან-პერსონითა სახასიათო ძალ-  
ზე კონკრეტულ ნიშან-თვისებების მატარებელი იყო. ყოველივე ეს იძლეოდა დამატყვევებელ  
ეფექტს.

ბატონი გურამი არაჩვეულებრივად გრძნობდა ადამიანს, მის ხასიათს ამ ადამიანის ძი-  
რითად სახასიათო და სოციალურ საზოგადოებრივ მიმართებებს. მე ყოველთვის მხიბლავ-  
და მისი უნარი ერთმანეთთან დაეკავშირებინა პიროვნული სახასიათო თვისებები, თავისი  
პერსონაჟებისა, ზოგად საზოგადოებრივ პოზიციასთან თუ კონტექსტთან. ამას ყოველთვის  
აკეთებდა არტისტული სილალით, სიმსუბუქით არაპროფესიონალისთვის თითქმის შეუმჩნე-  
ველი უბრალოებით, რომლის მიღმაც უდიდესი შრომა, ოფლისღვრა და დიდი ტალანტი იდგა.  
ყველა მის სახელოვნებო ქმნილება იყო სწორედ დიდი ტალანტის და არაჩვეულებრივი რუ-  
დუნებით, გულმოდგინედ ჩატარებული შრომისა და მუშაობის შედეგი.

გურამს უყვარდა ხელოვნება, მას უყვარდა იგი მთელი არსებით და რადგან ასე ძალიან უყ-  
ვარდა მხატვრობა ვფიქრობ თვით ხელოვნება ტკბებოდა გურამში. სწორედ ეს არაჩვეულებ-  
რივი სიყვარული ხელოვნების მიმართ ანიჭებდა გურამს უდიდეს ძალას თითქმის უკანასკნელ  
ამოსუნთქვამდე, სამხატვრო აკადემიაში სტუდენტებთან მუშაობისათვის თავს არ ზოგავდა.  
თითქმის უკანასკნელ გულის ცემამდე იგი იხარჯებოდა, თავს ევლებოდა ჩვენს ახალგაზრდა  
თაობას. მას უყვარდა მომავალი და ეტრფოდა მას, რადგანაც, თავად ბატონი გურამი გენით,  
ჯიშით, ტალანტით, კაცობით ქართული ისტორიული კულტურულ-ეთიკურ გამოცდილების  
დიდებულ განსახიერებას წარმოადგენდა. სწორედ ეს იყო ამ შესანიშნავი პროფესიონალი  
ადამიანის განუმეორებლობა. სწორედ ეს ერთიანობა, წარსულის დიდი გამოცდილებისა და  
სწრაფვა მომავლისაკენ არასოდეს დაგვაავინწყებს გურამ დოლიძეს, შესანიშნავ პიროვნებას და  
მხატვარს.

თბილისის სახელწიფო სამხატვრო  
აკადემიის რექტორი, პროფესორი

**გ. ბულაძე**



№ 63.



# СВИДѢТЕЛЬСТВО

Дано сіе изъ Кутаисскаго Дворянскаго Депутатскаго Собранія жителю  
 Кутаисской губерніи, *Свиритскаго Юрда. мѣстн. Свѣтлы*  
*дворянину Самсану Ростомову*  
*Домъ въ* въ томъ что отецъ его *Ростомъ Леонъ Владиміръ*  
*указанъ Правительствующаго Сената* Высочайше утвержденъ въ  
 Дворянскою достоинствѣ и значится въ спискѣ Дворянъ отъ *10 июля*  
*1894 года* за № *470*, а онъ *Самсан Ростомовъ*  
*Домъ въ* протоколомъ Депутатскаго Собранія *июля*  
 „ „ дня 1894 г., сопричисленъ къ роду и семейству отца своего. Свидѣ-  
 тельство это, въ силу 63 Ст. Уст. о пасп. т. XIV-го, можетъ служить ему  
 достаточнымъ документомъ на свободное проживание тамъ, гдѣ онъ пожела-  
 етъ. Въ чемъ Кутаисское Дворянское Депутатское Собрание, подписью и при-  
 ложениемъ казенной печати, удостовѣряетъ. Документъ этотъ оплаченъ над-  
 лежащимъ гербовымъ сборомъ.

Г. Кутаисъ *июля* 13-дня 1894 года. № *1026*

Кутаисскій Губернскій  
Предводитель Дворянства

*К. С. Жерми*







გურამ დოლიძის დიდი ბაბუა როსტომ დოლიძე მეუღლესთან ერთად  
Guram Dolidze's great grandfather Rostom Dolidze with wife



როსტომ დოლიძე შვილებთან ერთად  
Rostom Dolidze's with sons



მეორე რიგში მესამე - სამსონ დოლიძე  
Third in second row Samson Dolidze

**რ**ემი დიდი ბაბუა სამსონ დოლიძე XIX საუკუნის 70-ან წლებში დაიბადა. მოღვაწეობდა და ცხოვრობდა ფოთში, მეუღლე გაიანე ცინცაძესთან და შვილებთან ერთად. ბაბუა სამსონი რკინიგზელი იყო და აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი დიდი ოჯახისათვის გვერდი არ აუვლია ყველა იმ ტრაგიკულ მოვლენას, რაც იმ დროს საქართველოს თავს დაატყდა. ერთი მეორის მიყოლებით აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და ხვრეტდნენ მის ვაჟებს. ბოლოს 70 წელს მიტანებული ბაბუა სამსონიც დააპატიმრეს და გადაასახლეს. მას შემდეგ მის შესახებ არაფერი გვსმენია.

სამსონის შვილებმა განათლება თბილისში მიიღეს, მათ შორის უფროსი ვაჟი — პროკოფი დოლიძე ქუთაისის კავალერიის უნტერ-ოფიცერი გახლდათ. პირველი სწორედ პროკოფი დააპატიმრეს და მასზეც ამის შემდეგ არაფერი გვსმენია. ნიკოლოზ დოლიძე — შემდეგი ძმა, განათლებით ინჟინერი, 1922 წელს შეცდომით დააპატიმრეს

**M**y great grandfather Samson Dolidze was born in the seventies of the 19<sup>th</sup> century. He lived and worked in Poti together with his wife Gaiane Tsintsadze and his children. Granddad Samson was a railway man and he took an active part in public activities of the town.

His big family couldn't escape all the tragic events that had befallen Georgia. Time after time his sons were arrested, exiled and executed. At last at the age of nearly 70, granddad Samson was also arrested and exiled and we haven't heard of him since then.

Samson's sons were educated in Tbilisi.

The eldest son Prokophy was a non-commissioned officer of cavalry in Kutaisi. Prokophy was the first to be arrested and we haven't heard of him since then either.

Other brother Nikoloz Dolidze, an engineer by profession, was arrested in 1922 by mistake in



სამსონ დოლიძე  
Samson Dolidze



გაიანე ცინცაძე  
Gaiane Tsintsadze

მისი ძმის, გრიგოლის ნაცვლად, რომელიც ფედერალისტი იყო. ნიკოლოზი მოგვიანებით ემიგრაციაში წავიდა და ცხოვრება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოუხდა, საბოლოოდ კი ჩეხეთში დასახლდა, სადაც დაოჯახდა და ქალიშვილი — ნინო დოლიძე შეეძინა. ნიკოლოზი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრებთან კონტაქტის დამყარებას ვერ ახერხებდა, 50-იან წლებში კი ოჯახმა მისი პირველი წერილი მიიღო. თანდათანობით აღდგა მისი ურთიერთობა დებთან და ერთადერთ გადარჩენილ ძმასთან — ანდრო დოლიძესთან. 80-იან წლებში ნიკოლოზის შვილიშვილი, პატარა გაიანე გვსტუმრობდა. მახსოვს, ვკითხე — ბაბუა ნიკოლოზი რისგან გარდაიცვალა-მეთქი. ნოსტალგიისაგანო — მომიგო გაიანემ. გავიკვირვე, მაშინ ვერ წარმომედგინა, ნოსტალგიით ადამიანის გარდაცვალება. დღეში სამ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა და სულ დარდიანი იყო — დაამატა ჩემმა ბიძაშვილმა.

სამსონის მესამე ვაჟმა — გაბრიელ დო-

the place of his own brother Grigol. Grigol was a federalist. Following this event, he emigrated to quite a few countries in Europe and lived there as well. Grigol concluded his travelling in the Czech Republic where he married and had a daughter named Nino Dolidze.

For many years, Nikoloz couldn't get in touch with his other family members who remained in Georgia. During the fifties, Nikoloz sent his first letter to his family. Little by little his relations with sisters and only survived brother, Andro Dolidze were restored.

In the eighties Nikoloz grand daughter-young Gaiane was a guest in our home. I remember I had asked her "What granddad Nikoloz had died from?" and she replied "Nostalgia". I was amazed and couldn't imagine dying from nostalgia. "He smoked three packs of cigarettes a day and was always sad" – added my cousin.



პროკოფი დოლიძე  
Prokofi Dolidze



გაბრიელ დოლიძე  
Gabriel Dolidze



გრიგოლ დოლიძე  
Grigol Dolidze



გაიანე დოლიძე  
Gaiane Dolidze



ნიკოლოზ დოლიძე  
Nikoloz Dolidze



ნიკოლოზ დოლიძე გერმანიაში  
Nikoloz Dolidze in Germany



ნიკოლოზ დოლიძე ოჯახთან და დასთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში  
Nikoloz Dolidze with family and sister



მარიამ დოლიძე  
Mariam Dolidze



ლოლა დოლიძე  
Lola Dolidze

ლიძემ, ძმების ბედი გაიზიარა. ვერც ის გადაურჩა დაპატიმრება-გადასახლებას. მას შემდეგ მისი კვალიც წაიშალა.

მეოთხე შვილი გრიგოლ დოლიძე ფედერალისტი და განათლებით ინჟინერი გახლდათ. ძმების მსგავსად ისიც 1922 წელს დააპატიმრეს და ყაზახეთში, ქალაქ ჩიმკენტში გადაასახლეს, სადაც პედაგოგად მუშაობდა და დაქორწინდა მასავით გადასახლებაში მყოფ ქალბატონზე, რომელთანაც ქალიშვილი გაიანე დოლიძე შეეძინა. შემდგომში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. 30-ან წლებში გრიგოლს მიმაგრება პატიმრობით შეუცვალეს და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია — ბოლოს დახვრიტეს. ცოლ-შვილი კი საქართველოში გადმოსახლდა.

ბაბუაჩემი, ანდრო დოლიძე — სამსონის მეხუთე ვაჟი. ოჯახიდან ერთადერთი მამაკაცი აღმოჩნდა, ვისაც სტალინის რეპრესიები არ შეხებია. 1928 წელს დაქორწინდა თამარ კუპრაშვილზე და ორი შვილი გურამი

Samson's third son Gabriel Dolidze shared his brother's fate. He didn't escape arrest and exile either. It has known nothing of him since then.

The fourth son Gabriel Dolidze was a federalist and an engineer by profession. Like brothers he was arrested in 1922 and was exiled to Kazakhstan, Chimkent, where he worked as a teacher and got married to an exiled woman and begot a daughter Gaiane. Later Gaiane became a soloist of Tbilisi Opera and Ballet State Theatre.

In the thirties Grigol was arrested and, as far as I know, finally he was shot.

My grandfather Andro Dolidze, Samson's fifth son, turned out the fifth member from the family who wasn't subjected to Stalin's repressions. In 1928 he married Tamar Kuprashvili and two children Guram and Tsitsana had been born to them.

Besides sons, granddad Samson had two



გურამის მამა ანდრო დოლიძე  
Guram's father Andro Dolidze



გურამის დედა თამარ კუპრაშვილი  
Guram's mother Tamara Kuprashvili

და ცისანა შეეძინათ.

ვაჟების გარდა სამსონ ბაბუას ორი ქალიშვილი — მარიამი და ლოლა ჰყავდა, რომლებიც თბილისში დასახლდნენ და ტრადიციული ქართული ოჯახები შექმნეს.

შესაძლოა ოჯახური ისტორიის ვრცელი მიმოხილვა გამომივიდა — თუ შეიძლება ვრცელი დაერქვას იმ მწირ ინფორმაციას, რომელიც წინაპრების შესახებ გამაჩნია, მაგრამ ისევე, როგორც თავის დროზე მამაჩემისთვის, ჩემთვისაც ის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, ის ნაწილი, რომელიც მსოფლმხედველობას და ღირებულებებს აყალიბებს.

**ხათუნა დოლიძე**

daughters –Mariam and Lola, who lived in Tbilisi and had traditional Georgian families.

The story I have told you about our family may seem too extensive. If the scanty information I possess about my ancestors may be called extensive of all, though it meant a lot to my father just as it means to me, it is an important part of my life, the part which contributed to the development of our world outlook, values and attitudes.


**Khatuna Dolidze**



გურამის დედის მშობლები ლავრენტი და ანა კუპრაშვილები  
Gurami's mother's parents Lavrenti and Anna Kuprashvili



გურამის ბიძა რეზო აბაზაძე და ლადო გუდიაშვილი  
Gurami's uncle Rezo Abazadze and Iado Gudiashvili



გურამის ბიძა ალექსანდრე კუპრაშვილი  
Gurami's uncle Alexander Kuprashvili



გურამი ბიძასთან, შოთა კუპრაშვილთან ერთად  
Gurami with his uncle Shota Kuprashvili





თამარ კუპრაშვილი ძმებთან ერთად  
Tamar Kuprashvili with her brothers



თამარ კუპრაშვილი დედასთან, დებთან და ქალიშვილთან ერთად  
Tamar with her mother, sisters and daughter



გურამი დეიდასთან ერთად  
Gurami with his aunt



4 წლის გურამ დოლიძე  
4 years old




გურამი თანაკლასელებთან ერთად  
Gurami with his classmates



გურამი და ნოდარ ზალდასტანიშვილი  
Gurami and Nodar Zaldastanishvili



გურამის თანაკლასელების შეხვედრა  
Gurami's classmates' meeting



## დაუვინყარი წლოები და გურამი

*რაც კი ლამაზია - ზნეობრივია  
გ.ფლობერი*

საკმაოდ რთულია გაიხსენო დიდი ხნის, დაახლოებით 60-65 წლის წინათ მომხდარი ამბები, მაგრამ სკოლაში გატარებული წლები და იმდროინდელი მოვლენები მაინც ღრმად აღიბეჭდება მეხსიერებაში, რასაც ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ეს არის გულწრფელი გრძნობებით აღსავსე და სპეტაკი პერიოდი, როდესაც ადამიანის ცხოვრებაში ყალიბდება მისი მსოფლმხედველობა, გემოვნება, პრინციპები, ურთიერთობები, მეგობრობა, ერთგულება და მრავალი სხვა, ამავე დროს, ჩემი თაობის ახალგაზრდებისათვის ეს იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, რომლის სისასტიკე ჩვენს საყვარელ თბილისსაც შეეხო.




ჩვენ შევაბიჯეთ მე-6 საშუალო სკოლაში 1938 წელს, როდესაც იგი მხოლოდ ერთი წლის დაარსებული იყო და იმავე ადგილას მდებარეობდა, სადაც დღესაა განლაგებული, მხოლოდ მაშინ იმ ქუჩას გამოჩენილი ენათმეცნიერის ნიკო მარის სახელი ერქვა.

ჩვენი კლასელები მოწინებით, პატივისცემითა და სიყვარულით ვისვენებთ ჩვენს მასწავლებლებს, პედაგოგებს, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ჩვენს აღზრდაში, მოგვამზადეს ცხოვრების რთულ და დაუნდობელ ორომტრიალში ჩასართველად, გვასწავლეს ურთიერთსიყვარული და მეგობრობა.

ჩვენი კლასელების უმეტესობა ვცხოვრობდით ვაკის ერთ უბანში: ფალიაშვილის ქუჩაზე -იაშა არჩვაძე, ბორია ბუზიაშვილი, ბაადურ კვანჭახაძე, გურამ ტატიშვილი და დემური ხარაძე; ცნობილ მრგვალ ბაღთან - ნოდარ გურაბანიძე, ატენის ქუჩაზე - პაპუნა მინდელი და მე. ჩვენი გოგონებიც, როდესაც ერთად ვსწავლობდით, იყვნენ იმავე უბანში: იათამზე ახვლედიანი, ლილი ბარამიძე, ლატავრა გომართელი, ეთერ დაუშვილი, თეონა კუტუბიძე, თინა ხომეზურაშვილი, ნანული წილოსანი და სხვები.

იმის მიუხედავად რომ გურამ დოლიძე ჯერ ცხოვრობდა ბარნოვის ქუჩის ბოლოს, შემდეგ მოსაშვილზე და ბოლოს ბახტრიონზე, ე.ი. ჩვენგან მოშორებით, სკოლის გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სულ ერთად ვიყავით. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მისი მამიდაშვილი ნოდარ ზალდასტანიშვილი ბარნოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. ჩვენი შეკრების ცენტრი ფალიაშვილის ქუჩის ის მონაკვეთი იყო რომელიც განლაგებულია რაფიელ ერისთავისა და ბაზალეთის ქუჩებს შორის. ეს საკმარისად წყნარი ადგილი იყო და იქ ფეხბურთის თამაშსაც კი ვახერხებდით და, რასაკვირველია, ვმეცადინეობდით კიდევაც.

შესანიშნავი პედაგოგები გვყავდა მრავალ საგანში. რუსული ენის სწავლება დაბალი კლასებიდან იწყებოდა. ჩვენი რუსული ენის პედაგოგი ნ.სულიკაშვილი გამოცდილი სპეციალისტი და მეტად მომთხოვნი გახლდათ. ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის რუსული ტექსტის მოყოლა ზეპირად საკმარისად რთული საქმე იყო. მე იმ დროისათვის რუსულ ენას მეტ-ნაკლებად კარგად ვფლობდი, ვინაიდან ჩვენთან 1939 წლიდან ცხოვრობდა ჩემი აღმზრდელი რუსი ქალბატონი შურა კოლესნიკოვა, რომელმაც აგრეთვე აღზარდა ჩემი შვილი, ორი შვილიშვილი და ჩემ შვილთაშვილებსაც მოესწრო. ასევე კარგად ფლობდა რუსულ ენას ჩემი მეგობარი გურამ ტატიშვილი. უმეტესობა არ იყო დაუფლებული სასაუბრო რუსულ ენას. ბავშვები, მიუხედავად ცოტა შიშისა, გაკვეთილებზე თავისუფლად ვიქცეოდით და ვცელქობდით კიდევც.






ჩვენი კლასელები მოწინებით, პატივისცემითა და სიყვარულით ვისვენებთ ჩვენს მასწავლებლებს, პედაგოგებს, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ჩვენს აღზრდაში, მოგვამზადეს ცხოვრების რთულ და დაუნდობელ ორომტრიალში ჩასართველად, გვასწავლეს ურთიერთსიყვარული და მეგობრობა.

ჩვენი კლასელების უმეტესობა ვცხოვრობდით ვაკის ერთ უბანში: ფალიაშვილის ქუჩაზე -იაშა არჩვაძე, ბორია ბუზიაშვილი, ბაადურ კვანჭახაძე, გურამ ტატიშვილი და დემური ხარაძე; ცნობილ მრგვალ ბაღთან - ნოდარ გურაბანიძე, ატენის ქუჩაზე - პაპუნა მინდელი და მე. ჩვენი გოგონებიც, როდესაც ერთად ვსწავლობდით, იყვნენ იმავე უბანში: იათამზე ახვლედიანი, ლილი ბარამიძე, ლატავრა გომართელი, ეთერ დაუშვილი, თეონა კუტუბიძე, თინა ხომეზურაშვილი, ნანული ნილოსანი და სხვები.

იმის მიუხედავად რომ გურამ დოლიძე ჯერ ცხოვრობდა ბარნოვის ქუჩის ბოლოს, შემდეგ მოსაშვილზე და ბოლოს ბახტრიონზე, ე.ი. ჩვენგან მოშორებით, სკოლის გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სულ ერთად ვიყავით. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მისი მამიდაშვილი ნოდარ ზალდასტანიშვილი ბარნოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. ჩვენი შეკრების ცენტრი ფალიაშვილის ქუჩის ის მონაკვეთი იყო რომელიც განლაგებულია რაფიელ ერისთავისა და ბაზალეთის ქუჩებს შორის. ეს საკმარისად წყნარი ადგილი იყო და იქ ფეხბურთის თამაშსაც კი ვახერხებდით და, რასაკვირველია, ვმეცადინეობდით კიდევაც.

შესანიშნავი პედაგოგები გვყავდა მრავალ საგანში. რუსული ენის სწავლება დაბალი კლასებიდან იწყებოდა. ჩვენი რუსული ენის პედაგოგი ნ.სულიკაშვილი გამოცდილი სპეციალისტი და მეტად მომთბოვნი გახლდათ. ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის რუსული ტექსტის მოყოლა ზეპირად საკმარისად რთული საქმე იყო. მე იმ დროისათვის რუსულ ენას მეტ-ნაკლებად კარგად ვფლობდი, ვინაიდან ჩვენთან 1939 წლიდან ცხოვრობდა ჩემი აღმზრდელი რუსი ქალბატონი შურა კოლესნიკოვა, რომელმაც აგრეთვე აღზარდა ჩემი შვილი, ორი შვილიშვილი და ჩემ შვილთაშვილებსაც მოესწრო. ასევე კარგად ფლობდა რუსულ ენას ჩემი მეგობარი გურამ ტატიშვილი. უმეტესობა არ იყო დაუფლებული სასაუბრო რუსულ ენას. ბავშვები, მიუხედავად ცოტა შიშისა, გაკვეთილებზე თავისუფლად ვიქცეოდით და ვცელქობდით კიდევც.





ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, სკოლაში, გურამი მივიდა დაფასთან და ერთ წუთში დახატა რომეო თუთბერიძის და ჩემი კარიკატურა. ამ ფოტოს თქვენ ხედავთ აქ. რაოდენ სამწუხარო და სევდიანი იქნება 2011 წლის თებერვლის პირველი შაბათი, როდესაც ჩვენ შევიკრიბებით, და ჩვენთან აღარ იქნება ადამიანთა მოსიყვარულე, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ამ შეკრებების მუდმივი მონაწილე და ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ჩვენი დოლკა. იგი ეტრფოდა სილამაზეს და ამიტომ ზნეობრივად ამაღლებული იყო.

ჯუმბერ ლომინაძე  
08.06.2010







№55

MINISTRY OF EDUCATION  
AND SCIENCE OF GEORGIA  
THE PUBLIC SCH



## მხატვრის სამყარო

## Painter's World

სამხატვრო აკადემიის ერთობ თავისებურ სამყაროში რითიმე გამორჩევა ერთეულთა ხვედრია. სწორედ ეს ხვედრი ხვდა დოცენტ გურამ დოლიძეს. ძნელია მისი რომელიმე ერთი სპეციალობისათვის მიკუთვნება — სადაც კი მიუწვდა ხელი, ყველგან საკუთარი, საინტერესო სამყარო შექმნა.

1956 წელს წარმატებით დაამთავრა აკადემიის კერამიკის ფაკულტეტი. მისი პედაგოგები იყვნენ გამოჩენილი მხატვრები ს. ქობულაძე, ვ. შუხაევი, დ. გაბაშვილი, გ. ჯაში, შ. მიქატაძე, დ. ციციშვილი. მისი დიპლომი — დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ გმირების პლასტიკური ხორცშესხმა (ხელმძღვანელი დ. ციციშ-

To be distinguished for some merits in quite peculiar world of the Academy of Arts is the lot only of ones. This very lot has been granted to associate professor, **Guram DOLIDZE**. It's difficult to attribute him to one specialty – whatever he managed to approach, everywhere he has created his own, interesting world.

In 1956 he graduated from the faculty of ceramics of the Academy of Arts. His pedagogues were the outstanding painters S .Kobuladze, V. Shukhaev, D.Gabashvili, G.Jashi, Sh. Mikatadze, D.Tsitsishvili. His Diploma work – **“A Plastic personification of the heroes of D.Kldiashvili’s novel “Samanish-**



გურამი კოლეგებთან ერთად  
Gurami with colleagues



ედმონდ კალანდაძე, გურამი და სერგო ქობულაძე  
Edmond Kalandadze, Gurami and Sergo Kobuladze



გურამი კოლეგებთან ერთად  
Gurami with colleagues

ვილი) იმდენად მაღალი დონის მხატვრული შემოქმედება იყო, რომ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის მამამთავარმა გ. ჩუბინაშვილმა არა მარტო მაღალი შეფასებით აღნიშნა ნამუშევარი, არამედ გამოცდის შემდეგ დიდხანს ესაუბრა დიპლომანტს. ქართული ხელოვნების ღრმად მცოდნე მეცნიერმა ამ ნაშრომში დაინახა ის ახალი დარგი, რომელსაც შემდგომ ქართული ჟანრული კერამიკული ქანდაკება ეწოდა, მართლაც, მოგვიანებით არაერთმა კერამიკოსმა წარმატებით განავითარა ეს ჟანრი, თვით გ. დოლიძის ამ სახის ნაწარმოებებისაგან გამოყოფილი „კაცია-ადამიანს?!“, „სოლომონ მორბელაძეს“, „იმერელ აზნაურს“, „მკითხავს“, „გალაკტიონს“, სატირული ხასიათის სერიას „ბიუროკრატი“, „მლიქვნელი“, „სტილიაგა“ და სხვა. მიუხედავად სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვისა, ყველას აერთიანებს „ერთი ხელი“, ღრმა ეროვნულობა, ფორმის, პლასტიკურობის შეგრძნება, გროტესკამდე აყვანილი ხასიათი, იუმორი, სიტბო... ფაიფურის მასალის მოხატვა შესრულებულია შერეული (ჭიქურზედა და ჭიქურქვედა საღებავი) ტექნიკით, რაც, პლასტიკურ ფორმასთან ერთად, მხატვრულად დასრულებულ სახეს სძენს ნაკეთობას. აღსანიშნავია კომპოზიციის დახვეწილობა, ზომიერების გრძნობა. ეს თვისებები ასევე მიესადაგება დ. კლდიაშვილის, ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ გრაფიკული ნამუშევრების სერიას, ბატონი გურამის მიერ გაფორმებულ წიგნებს „მოლა ნასრედინი“, „კაცი, რომელმაც იხსნა ლონდონი“, „ცხოვრება ს. მესხისა“, „პოლონური იუმორი“ და სხვა.

გურამ დოლიძის შემოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარეა კარიკატურის ხელოვნება. იგი ამ ჟანრით ხშირად ჩნდება

**vili's Stepmother** – (supervisor D.Tsitsishvili) was of so high level of artistic creative work that the chairman of the examining board, **G.Chubinashvili**, the patriarch of the School of Georgian study of art has not only appreciated the work as being of high level but after examination he had a long talk with a defender of the diploma. The scientist having a deep knowledge of the Georgian art saw in this work the new field which was called later the Georgian genre ceramic monument. Really, later, this genre has been developed by not a single ceramican From the works of this type of G.Dolidze himself I would distinguish : “Is a human being a Man?”, “Solomon Morbeladze”, “Duke from Imereti”, “Fortune-teller”, “To Galaktioni”, series “Bureaucrat”, “The Lickspittle”, “Dandy”, etc. Despite of various contextual loading all are united by deep nationality, sense of forms, plasticity, character ascended to grotesque, humor, warm...Painting of porcelain is fulfilled by means of mixed (over-glaze and under-glaze paints) technique, which , together with the plastic form adds artistically completed image to the production. Refinement of composition, sense of harmony, these features fit at the same extent to the series of graphical works created according to Il.Chavchavadze’s works, to books decorated by Mr. Guram Dolidze: “Moollah Nasredin”, “The Man Who saved London”, “Life of S.Meskhi”, “Polish humor”, etc.

One more important side of creative work of Guram Dolidze is the art of caricature. He appears frequently with this genre in journals and newspapers. The master having distinct individuality is the author of the whole



პერსონაჟები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან. კერამიკა

ჟურნალ-გაზეთებში. მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე ოსტატი ცნობილ მხატვრებზე, მსახიობებზე, მეგობრებზე შექმნილი მთელი სერიის ავტორია. აქ ხასიათის დაჭერის უნარს ერწყმის შინაგანი სითბო, კეთილგანწყობა. აღსანიშნავია ფანქრით, გუაშით, ნახშირით, ტემპერათი, აქვარელით შესრულებული სიუჟეტური კომპოზიციები: „პარიზი, მონმარტი“, „ბებერი კეთილი მასხარა“, „ბებერი მეზურნეები“, „მასხარა და სიყვარული“, „ნმ. ნინო“, „მე და ღამე“, „ტკივილი“, „ალაზნის ველი“ და სხვა. ასევე სერიოზული ნამუშევრებია „შიშველი ნატურები“, პორტრეტები, რომლებიც გვხვბლავენ ფაქიზი ხელწერით, ფერის, შუქის ნიუიანსებით, ფორმის შტრიხით გამოძერწვის უნარით, სწორად აგებული ნახატით, რაც ახლა იშვიათობაა.

გ. დოლიძის მხატვრული „მრავალმხრივობის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია დეკორატიულ-მონუმენტური ნამუშევრები. აქედან გამოვყოფდი პირველი სამამულო ომის 160-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მოჟაისკის მემორიალურ კომპლექსს. კომპოზიციის ცენტრია ფერწერული პანო „ბაგრატიონი“. საინტერესოა სხვა დეკორატიული ნამუშევრებიც — ბუხარი, ჭედური ტორშერები, ხალხური სულით და იუმორით აღსავსე კომპოზიციები „ივანე“ და „მარია“... ასევე მნიშვნელოვანია ქ. მონინოს საზღვაო ფლოტის დასასვენებელი სახლის კედლების მოხატულობა, მიუხედავად პანოების რუსული თემატიკისა („მუზა“, „რუსული ტროიკა“) ხელწერა, ნამუშევრების ხასიათი ქართულია.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი საგარეჯოს ბავშვთა დასასვენებელი კომპლექსის გაფორმება — შამოტში შესრულებული ჰორელიეფური კომპოზიციები გადმოგვცემს ხალხური ცეკვის ხიბლს, ბავშვის

series created about known painters, artists and friends. Here with the capacity of capture of the character it is amalgamated the inner warmth, goodwill. The most notable are his topic compositions: “Paris, Montmartre”, “Old. Kind Clown”, “Old pipe-players (zurna)”, “A Fool and Love”, “Saint Nino”, “Me and Night”, “Pain” “The Alazani Valley”, etc. As well the serious works are “Nude Sitters, models”, portraits which fascinate us by neat handwriting, nuances of color, light, with capacity to sculpture of form by stroke, with the painting made correctly, which is rare today.

One of the most important sides of G.Dolidze’s artistic “Polyphony” is decorative-monumental work. I would single out a memorial complex of Mojhaisk dedicated to 160 year anniversary of the First Great Patriotic War. The composition center is the pictorial panel “Bagrationi”, Other decorative works are interesting as well – fire-place, embossing torches, compositions full of folk spirit and humor, “Ivane” and “Maria”... Very impressive is the wall painting of rest house of Marine Fleet in the city of Monino. In spite of the Russian thematic of panels (“muse”, “Russian troika”)-handwriting, character of the works is Georgian.

Very effectively is solved the designing of a complex of Sagaredjo Children’s Rest House. The horelief compositions performed in chamotte reproduce the charm of the folk dance, nature full of child’s life.

One of the most serious works has been fulfilled for this last year. This is a decorative de-



ლალ სიცოცხლით სავსე ბუნებას.

ერთ-ერთი სერიოზული ნამუშევარი ამ ბოლო წელს არის შესრულებული. ეს არის ე. ქუთაისის პათანატომიის ცენტრის დეკორატიული გაფორმება, რომელსაც გამოარჩევს დახვეწილი კომპოზიცია, შესრულების მაღალი ტექნიკა, ეროვნული სული. დიდი ზომის შამოტის რელიეფური პანოები „მედიცინა“ და „ჰიპოკრატეს სკოლა“, მრავალფეროვანი კომპოზიციები სიმბოლიკის ენით მკაფიოდ ხსნიან თემას. აქ ერთნაირი სიყვარულით არის დამუშავებული ფიგურები და დეკორატიული მოტივები. ამ ნამუშევარს და, საერთოდ, გ. დოლიძის შემოქმედებას ახასიათებს შინაგანი კულტურა, დახვეწილი გემოვნება, კომპოზიციური სისრულე, აკადემიურად გამართული ნახატი, ოსტატობა, სრული თავისუფლება, ნებისმიერ მასალაში მუშაობის უნარი, დეკორაცივიზმი, ეროვნუ-

sign of Center of Path-anatomy of the city of Kutaisi which is distinguished by refined composition, high level technique of fulfillment, national soul, Chamotte relief panels of great sizes “Medicine” and “School of Hippocrates”, the multi-figure compositions distinctly explain the theme by the language of symbolic. Here the figures and decorative motives have been processed with equal love. This work, and, generally, the creative work of G.Dolidze is characterized by inner culture, refined taste, compositional completeness, academically rigid picture, mastery, complete freedom, capability of working in any material, decorativism, moderate inclusion of nationality...

The portrait traits of the creator will not be complete, if we do not speak of his peda-



ლობის ზომიერი ჩართვა...

შემოქმედის პორტრეტული შტიხები არ იქნება სრული, თუ არ ვიტყვით მისი პედაგოგიური მოღვაწეობის თაობაზე. მრავალი წელია, იგი აკადემიაში წარმართავს აკადემიური ნახატის კურსს, და ყველა მის აღზრდილს მოსდგამს პედაგოგისეული — ნახატისადმი სერიოზული დამოკიდებულება.

ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კოლექტივმა გურამ დოლიძე საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაზე წარადგინა. იგი ჭეშმარიტად იმსახურებს ამ პატივს.

### ნანა კიკნაძე

gogical activity. For many years he is leading a course of academic painting at the Academy, and all his students are characterized by the serious dependence on the painting as their tutor used to be.

For profitable activity the collective of State Academy of Arts has nominated Guram Dolidze to the title of Honored Art Worker of Georgia SSR. He truly deserves this respect.


**Nana Kiknadze**



გურამ დოლიძე დიპლომების დაცვაზე



თინა და გურამი  
Tina and Gurami



ქალიშვილთან და მეუღლესთან ერთად  
With daughter and wife



ოჯახი  
Family



ოჯახთან ერთად  
With Family



თინა, გურამი და თინა კუპრაშვილი  
Tina, Guram and Tina Kuprashvili



ქალიშვილთან ერთად  
With daughter



თინა დაუშვილი  
Tina Daushvili



გურამი დასთან ერთად  
Guram with sister



გურამი, თინა და ბიძინა დოლიძეები  
Gurami, Tina and Bidzina Dolidze



გურამი, გაიანე დოლიძე, თინა, ნოდარ ზალდასტანიშვილი  
Gurami, Gaiane Dolidze, Tina, Nodar Zaldastanishvili



ჩემო გურამ, ჩვენი ერთად ყოფნა ღვთის საჩუქრად მიმაჩნია. ერთად 50 წელზე მეტი გავატარეთ. საამური იყო ის დრო, როდესაც ვეცნობოდი შენს ადამიანურ თვისებებს, ხშირად მაოცებდი კიდევ.

ახლა მხოლოდ ტკბილი მოგონებები დამრჩა და ისლა შემიძლია თავდახრილი, თეთრი ვარდებით ხელში, მოვიდე შენს საფლავთან.

**თინა**







\*\*\*

არ მნამს ამქვეყნად ერთხელ მოსვლისა,  
თუნდ განმეორდეს ძველი ტკივილი,  
და სიდუხჭირე მხატვრის, მგოსნისა,  
უბედობა და სულის ყივილი.

მინდა მოვიდე შვილად ან მამად,  
ან თუნდაც ნვიმად, ბალახის ნამად,  
მინდა მოვიდე მე სიყვარულად,  
ვიცრემლებოდე ჩუმად, მალულად.

უბრალო თიხად, აყალო მინად,  
ან მელოდიად, პოეტის ნიჭად,  
გაჭირვებულის სულზე მისწრებად,  
ქართული აკვნის ლამაზ ფიცრებად.

მინდა მოვიდე მე ღვთის ზვარაკად,  
სამშობლოსათვის რომ შეწირულა,  
მინდა მოვიდე ლექსად, არაკად,  
ანდა პოემად, ჯერარხილულად.

არ მნამს ამქვეყნად ერთხელ მოსვლისა,  
თუნდ განმეორდეს ძველი ტკივილი,  
და სიდუხჭირე მხატვრის, მგოსნისა,  
უბედობა და სულის ყივილი.

1999 წ.  
თბილისი



გურამი და ცისანა მშობლებთან ერთად  
Guram and Tsisana with parents

## დედას

გაჰქრნენ, წავიდნენ ბავშვობის წლები,  
ნისლმა დაჰბურა ტკბილი წარსული,  
კეკლუცი გოგო დედად იქეცი,  
უკვე დაბერდი, უკვე დასრულდი.

და იმედები მერცხლებს რომ ჰგავდნენ,  
გაჭალარავდნენ, დაბერდნენ თითქოს,  
მაგრამ, გული კი ახალგაზრდული,  
ისევ მიმოსცემს სიტყბოს და სიტბოს.

შენ სხვა მომავალს გიქადდა ყველა,  
ნიჭით აღსავსე ქართველ გოგონას,  
ყველას ეგონა ნიჭის ნაპერწკალს,  
გადააქცევდი ჭიაკოკონად,

ჭიაკოკონა უკვე ჩანაცრდა,  
და ნაპერწკალიც ოდნავლა ბუუტავს,  
ასე ერთფერად მიდის ცხოვრება,  
ვიდრე სიცოცხლე თვალს არ დახუჭავს.

**22. 12. 1947 წ.**

**ქ. თბილისი**

**1947 წელს დედაჩემი 38 წლის იყო,  
მე კი დედა უკვე მოხუცი მეგონა.**

## ჩვენი ცხოვრება თოვლის ფიფქია

ჩვენი ცხოვრება თოვლის ფიფქია  
და ზამთრის ღამის ცივი ფანტელი,  
ისე გაქრება, თითქოს ფიქრია,  
ან ქარიშხალში თაფლის სანთელი.

გაქრება, როგორც ავდრის ღრუბლებში,  
ეული მთვარის გამონათება,  
როგორც ღამეულ სიზმრის წუთებში,  
გარდაცვლილ დედის ტკბილი ხატება.







## შთაგონება

რომ შთაგაგონოს მაღლით ზეცამო  
რაიმე ნალდი, რამე ნათელი,  
უნდა დაიწვე, უნდა ეწამო,  
იყო ტკივილით ღამენათევი.

უნდა ეწამო, ვითარც იესო  
თავდავინყებით, დაუნანებლად,  
რომ თქვან, მუზებმა გადარიესო  
რომ ენთოს ლექსი ზურმუხტ-ლალებად.

**1996 წ.**  
**თბილისი**

\* \* \*

თუ გახსოვს, იმ შორეულ წარსულში ერთხელ,  
ის ბიჭი შეიყვარე ჯიბეცარიელი,  
ნიაზე უნაზესი იყო ის სიყვარული,  
აღვებზე მაღალი და ბედელზე ხვავრიელი.

თუ გახსოვს, შორეული ცისფერი სიზმრები,  
იმ ღამეს პარკში კვირტების ფეთქვა,  
ნუთუ დაგვაზინყდა, რაც უნდა გვეთქვა?  
დიდი დრო გავიდა მას შემდეგ მგონია,  
ოდიდგან ასეა, ყველას აქვს დასასრული,  
ლურჯ ცას გეფიცები, იმ ერთი სიზმრისთვის,  
იმ ერთი სიზმრისთვის, ნურც შუქი მქონია.

ძეგლად დაგედგმები, თუ გაიხსენებ,  
იმ ღამეს პარკში კვირტების ფეთქვას,  
სულ კი დაგვაზინყდა რაც უნდა გვეთქვა...

**1978 წ. თბილისი**



ՀԻՆՆԵՆ ԼՆՈՒՄ ԵՆԻՄ



ԼԻՆՈՒՄ ԵՆԻՄ

ԻՆՆԵՆ ԵՆԻՄ

\* \* \*

ღმერთო! ჩემი სამშობლო შემარჩინე,  
ღმერთო! გულზე წყლული მომარჩინე,  
ღმერთო! ჯიში და ჯილაგი გამიმრავლე,  
ეს თხოვნა შემისრულე შენს ნათელს ვეთაყვანე.

ძნელია ასანერად ჩვენი ჭირთათმენა,  
ის რაც დაგვემართა, მწარეა მოსასმენად,  
ძმამ ძმას ესროლა, მტრის გულის მოსალხენად,  
დუშმანი გავახარეთ, ვერ გავიმეტეთ მოსაწყენად.

ღვთისმშობლის რჩეული წალკოტი გადავბუგეთ,  
მამული ახალი საზღვრებით გადავზღუდეთ,  
ქართველ კაცს სახეზე მოვუსპეთ ღიმილი,  
ირგვლივ სასონარკვეთაა და გულისტკივილი.

ღმერთო! ჩემი სამშობლო შემარჩინე,  
ღმერთო! გულზე წყლული მომირჩინე,  
ღმერთო! ჯიში და ჯილაგი გამიმრავლე,  
ეს თხოვნა შემისრულე, შენს ნათელს ვეთაყვანე.

**19.06.1993წ.**



\*\*\*

კარგია, როცა შვებას იგრძნობს სული ეული,  
გინდა ყრმა იყავ, გინდა მოხუცი, გინდა სნეული  
კარგია, როცა სხვისი დარდი შენი დარდია,  
სიკეთის გარდა სხვა რამ გრძნობა არ გაბადია,  
კარგია, როცა ვინმე გიყვარს შენ თავზე მეტად,  
და არ დაძრწისხარ მარტოდმარტო ეულად, კენტად,  
თუნდაც ის ვინმე, აღარ იყოს ამქვეყნად შენთან,  
გარდასულიყოს სასულეთში, ნათელში, ღმერთთან,  
კარგია, როცა ვინმე, გიყვარს შენ თავზე მეტად.

2000 წ.

„ცად ამაღლება“. ქალაქი, გუაში. 2000  
"Ascension". Paper, gouache. 2000







## ხათუნას

**ხ** ვთაებავ ჩემი ცხოვრებისავ, ჩემო პატარავ,  
**ა** ნგელოზს გიგავს ბადრი სახე თაფლა თვალები,  
**თ** აყვანს ვცემ გრძნობას, მამაშვილურს შენით ანთებულს,  
**უ** ხმოდ, უსიტყვოდ, შენზე ფიქრში დავიღალეები.  
**ნ** იბლიავ ჩემი ცხოვრებისა, ჩემო პატარავ  
**ა** ნგელოზს გიგავს ბადრი სახე, თაფლა თვალები.

**თბილისი 1961 წ.**

## ბიძინას

ბ ავშვობა ჩემი და მოგონება  
ი ვლისის მზე და წვიმა და თქეში,  
ძ ველი ზღაპარი, ბებოს ნანინა,  
ი ღვიძებს ჩემში, იღვიძებს ჩემში,  
წ ანილო ჩემო, იმედო ჩემო,  
ა ტმის ყვავილო თვით ატმის ხეში.

დ იდია ჩემი გრძნობა და სითბო  
ო ცნებით ვხატავ მე შენს მომავალს,  
ლ ივლივა ცაში, ტყის სიმწვანეში,  
ი სევ შენ გხედავ, ვხედავ მომავალს,  
ძ ეო და შვილო, შენ ჩემო სიტკბოვ,  
ე ნდე მამიკოს, ენდე მამიკოს.

**1970წ.**

**თბილისი**





ბიძინა დოლიძე მეგობრებთან ერთად  
Bidzina with friends



სამხატვრო აკადემიის სტუდენტები  
Students of Academy of Arts



\* \* \*

ცხოვრება თეატრია,  
 ცხოვრება თეატრია,  
 ვილაცამ ვილაცას,  
 ცხვირი მიამტვრია.

ვილაცას ფულმა,  
 გული გაუხარა,  
 ვილაცას ვილაცამ,  
 დანა გაუყარა.

ცხოვრება თეატრია;  
 ლიპა კომედია,  
 ვილაცა ამტკიცებს,  
 რომ სხვაზე „მეტია“.

სხვაზე რომ „მეტია“,  
 ის ქონდრის კაცია,  
 სხვის ჯიბეს აქოთებს,  
 ბინძური ცაცია.

ცხოვრება ფარსია,  
 უნიჭოდ დადგმული,  
 ვით „დემოკრატია“,  
 ახლად ფეხადგმული.

ცხოვრება თეატრია;  
 ცხოვრება თეატრია;  
 ვილაცამ ვილაცას,  
 ღხვირი მიამტვრია.

1999 თბილისი

## ჩემს დას ცისოს.

თურმე რამდენი გასულა წელი,  
უკვე რამდენჯერ ჩამოგვათოვა,  
სულში კი მღერის ის ძველი ჰანგი,  
ჩვენთან რომ იყო და მიგვატოვა.  
ჩვენი ბავშვობა, ხან სიზმარია,  
ხან დედუღეთის ტკბილი ზღაპარი,  
ჩვენი სიბერე თითქოს ქნარია,  
ობლად რომ კვნესის მიუსაფარი.  
ჩვენი ცხოვრება ზღვის ტალღას ჰგავდა,  
აფაფრებულს და ნაპირთან მებრძოლს,  
ის ზღვა ჩანყნარდა გრგვინვა-შხუილით,  
და გვრგვინა მისი თითქოს არც გვეგრძნოს.  
თურმე რამდენი გასულა წელი,  
უკვე რამდენჯერ ჩამოგვათოვა,  
სულში კი მღერის ის ძველი ჰანგი,  
ჩვენთან რომ იყო და მიგვატოვა.

05.10.99 წ.





## შემთხვევით მოსული ფიქრები

ამბობენ, ცხოვრება კარგი,  
ღვინო დუღუკი, ქალები,  
ზოგისთვის ზედმეტი ბარგია,  
დარდები, ტკივილი, ვალები.

ამბობენ, იცოცხლე, იხარე,  
იყიდე, ჭამე და იცინე,  
იცინე, თუ ხარ მწუხარე,  
იცინე, იცინე, იცინე.

ამბობენ, სიკეთე კარგია,  
დასთესე, მოიმკი ხვალვე,  
სიკეთე ზედმეტი ბარგია,  
მას დაივინყებენ მალე.

**26 აპრილი  
1966 წ.**





## ჯარგია როცა...

კარგია, როცა ვინმე გიყვარს  
შენ თავზე მეტად.  
და არ დაძრწიხარ ქვეყანაზე,  
ეულადა, კენტად.

თუნდაც ის ვინმე აღარ იყოს  
ამ ქვეყნად შენთან,  
გარდასულიყოს სასულეთში,  
ნათელში ღმერთთან.

კარგია, როცა ვინმე გიყვარს  
შენ თავზე მეტად...

**26 ოქტომბერი  
1996 წელი  
ქ. თბილისი**

## ბუჯიას ბაღთან

ჩამესმის ზამთრის ჩუმი ქვითინი,  
და ჩემი უბნის ჩვილთა ტიტინი,  
ამოფეთქება ლურჯი ტყემლების,  
სუფთების, როგორც ბავშვის ცრემლები.

**12 მარტი, 1996 წ.**

## იდგა ბიჭი ფერმეტალი

სხვისგან შეჭმულ-შეხრული,  
გადუხდელი ვალებით,  
იდგა ბიჭი ფერმკრთალი,  
მზეჩამქვრალი თვალებით.

იდგა როგორც სანთელი,  
და სიკეთე ცისანი,  
როგორც ცისკრის ნათელი,  
და ძახილის ნიშანი!

იდგა ხელგამონვდილი,  
დარცხვენილი ეული,  
ბავშვი, დაბერებული,  
დალეული სხეულით.

მომაკვდავი, მტირალი,  
სახლში დედა ელოდა,  
ლუკმა პურის შოვნაში,  
ბიჭი დედას შველოდა.

როგორც კითხვის ნიშანი???  
თუ რატომ იტანჯება?  
რისთვის გაამათხოვრეს,  
გამაძლარმა ქაჯებმა?

სხვისგან შეჭმულ-შეხრული,  
გადუხდელი ვალებით,  
იდგა ბიჭი ფერმკრთალი,  
მზეჩამქვრალი თვალებით.

2.09.2001წ.  
გურამ დოლიძე







## სამშობლო

უნდა გიყვარდეს სამშობლო შენი  
როგორც აკაკის, როგორც ილიას,  
დღეს კი ბევრისთვის ეს გრძნობა ტკბილი,  
მხოლოდ და მხოლოდ უცხო ხილია.

უნდა იწვოდე, რომ ანათებდე,  
რომ ანათებდე, უნდა იწვოდე,  
სხვაგვარი წესი, რომ არ არსებობს,  
უნდა გახსოვდეს, უნდა იცოდე.

მხოლოდ სიკეთით უნდა ისუნთქო,  
მოყვასის ცოდვა უნდა გზარავდეს,  
მხოლოდ სიყვარულს უნდა ემონო,  
თუ გსურს მაცხოვრის მაღლი გფარავდეს.

უნდა იწვოდე როგორც ლამპარი,  
და უნდა ენთო, როგორც სანთელი,  
რომ სასულეთში უფლის წინაშე,  
წარსდგე მართალი, სახენათელი!

უნდა იწვოდე, რომ ანათებდე,  
რომ ანათებდე, უნდა იწვოდე,  
სხვაგვარი წესი, რომ არ არსებობს,  
უნდა გახსოვდეს, უნდა იცოდე!

1999 წ. 24.05.

თბილისი

ჩემო ტინა-ნინო,  
ჩემო თვალის ხინო,  
ჩემო დილის სინათლევი,  
სიხარულით, მხინო!  
გაიხარდე შაფარავ,  
სასახელო ქალი,  
იყავ ბედნიერი და  
სამშობლოს თვალი

4.2.2006წ.

ჯაკე ბაბუ

